

## სახმელეთო ამანათის ქვეყნის გარეთ

### გაგზავნის პირობები

#### სარჩევი

1. მოქმედების სფერო.....	2
2. ქვეყნის გარეთ გასაგზავნი სახმელეთო ამანათის მახასიათებლები.....	2
3. სახმელეთო ამანათის მიღება და დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნა.....	3
4. გასაგზავნად მიღებული სახმელეთო ამანათის გაგზავნის, ტრანსპორტირებისა და ჩაბარების ვადები .....	4
5. გასაგზავნად აკრძალული და პირობითად დაშვებული საქონლის ჩამონათვალი .....	5
6. გზავნილის შეფუთვის წესი .....	6
7. გზავნილის შიგთავსის შემოწმება .....	8
8. დამატებითი სერვისები .....	9
9. პასუხისმგებლობა და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა .....	10
10. დასკვნითი დებულებები .....	12
დანართი #1.....	13
1. საბერძნეთი .....	13
2. ესპანეთი .....	15
3. იტალია .....	17
4. საფრანგეთი.....	20
5. გერმანია.....	23
6. შვეიცარია .....	25
7. პოლონეთი .....	27
8. ავსტრია .....	29
9. ჩეხეთი .....	31
10. ბელგია.....	32
11. სომხეთი .....	34
12. სლოვაკეთი .....	36
13. ნიდერლანდები .....	37
14. ინგლისი .....	39
15. ლიეტუვა .....	40
16. ლატვია .....	41

## 17. ესტონეთი..... 42

## 1. მოქმედების სფერო

- 1.1. წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია სახმელეთო ამანათის (შემდგომში ასევე მოხსენიებული როგორც: „ამანათი“ და/ან „გზავნილი“) ქვეყნის გარეთ გაგზავნის პირობები. დოკუმენტი განკუთვნილია შპს „საქართველოს ფოსტის“ მომხმარებლისთვის და ასევე კომპანიის ყველა იმ პოზიციის თანამშრომელთათვის, ვინც უზრუნველყოფს სახმელეთო ამანათის გაგზავნასთან დაკავშირებული ოპერაციების შესრულებასა და კონსულტაციის გაწევას.
- 1.2. ის საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ დებულებებით.

## 2. ქვეყნის გარეთ გასაგზავნი სახმელეთო ამანათის მახასიათებლები

- 2.1. ქვეყნის გარეთ გასაგზავნი სახმელეთო ამანათი არის ამანათის სახეობა, რომელსაც შპს „საქართველოს ფოსტა“ მომხმარებლისგან იღებს საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სერვისცენტრების საშუალებით. ამასთან, თუ გამგზავნს წინასწარ აქვს გაფორმებული ხელშეკრულება „საქართველოს ფოსტასთან“, მას საშუალება აქვს ამანათის გაგზავნა მოახდინოს კურიერის გამოძახების საშუალებით.
- 2.2. ქვეყნებისა და იმ ქალაქების ჩამონათვალი, სადაც შპს „საქართველოს ფოსტა“ სახმელეთო ამანათის გაგზავნას ახორციელებს, აგრეთვე გზავნილების კონკრეტულ ქალაქებამდე ტრანსპორტირებისა და მათი ადრესატისთვის ჩაბარების პირობები და ვადები მოცემულია დანართ #1-ში. აღნიშნული დანართი ასევე შეიცავს ინფორმაციას თითოეულ ქვეყანასთან/ქალაქთან მიმართებაში დადგენილი პირობებისა თუ დაწესებული შეზღუდვების შესახებ. კონკრეტულ ქვეყანასთან/ქალაქთან მიმართებაში დაწესებული პირობა, წინამდებარე დოკუმენტის ტექსტთან შედარებით ითვლება უპირატესი ძალის მქონედ.
- 2.3. სახმელეთო ამანათის წონა არ უნდა აღემატებოდეს 20 კგ-ს, ხოლო მედიკამენტების შემთხვევაში - 300 გრამს. სახმელეთო ამანათის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 80სმX80სმX80სმ-ს.
- 2.4. სახმელეთო ამანათის დაზღვევა არ ხდება.
- 2.5. ადრესატისათვის ჩაუბარებელი სახმელეთო ამანათის უკან გამგზავნისათვის დაბრუნება არ ხორციელდება. იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხდება სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება (მათ შორის, თუ ადრესატი უარს განაცხადებს სახმელეთო ამანათის ჩაბარებაზე), მისი მიღებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში, ის განადგურდება ადგილზე.
- 2.6. გამგზავნს უფლება არ აქვს სახმელეთო ამანათით გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც აკრძალულია წინამდებარე დოკუმენტის მე-5 პუნქტის შესაბამისად.

- 2.7. სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულება (გარდა მედიკამენტებისა) გამოითვლება ფაქტიური წონისა და შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ამავე კატეგორიის გზავნილზე 1 კგ-სთვის დადგენილი ტარიფის ნამრავლით. 1 კგ-მდე წონის ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ - 1კგ-სთვის დადგენილ ტარიფს.
- 2.8. სახმელეთო ამანათით მედიკამენტების გაგზავნის შემთხვევაში, მომხმარებელი იხდის ფიქსირებულ ტარიფს.
- 2.9. თუ სახმელეთო ამანათის როგორც გამგზავნს, ასევე ადრესატს ფიზიკური პირი წარმოადგენს, ამანათის გაგზავნის ღირებულების გადახდა შესაძლებელია როგორც მისი გაგზავნისას - გამგზავნის მიერ, ასევე ადრესატის მიერ - სახმელეთო ამანათის მისთვის ჩაბარებისას (ფასდადებით). ამასთან, კონკრეტული ქვეყნის მიმართულებით შესაძლოა დადგინდეს ამ დებულებისგან განსხვავებული პირობები.
- 2.10. სახმელეთო ამანათის გაგზავნა იურიდიული პირის მიერ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წინასწარ აქვს დადებული ხელშეკრულება „საქართველოს ფოსტასთან“. ასეთ შემთხვევაში, სახმელეთო ამანათის ფასდადების პირობით გაგზავნა არ ხდება, ხოლო მხარეთა შორის ანგარიშწორება ხორციელდება ურთიერთშორის დადებული ხელშეკრულების პირობების საფუძველზე.

### 3. სახმელეთო ამანათის მიღება და დანიშნულების ქვეყანაში გაგზავნა

- 3.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ სახმელეთო ამანათის მიღებას ქვეყნის გარეთ გასაგზავნად ახორციელებს სერვისცენტრებისა და კურიერების (ხელშეკრულების ფარგლებში) მეშვეობით, ყოველ სამუშაო დღეს.
- 3.2. მომხმარებელმა სახმელეთო ამანათის გაგზავნისას სავალდებულო წესით უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, ასევე სრულად და ზუსტად უნდა მიაწოდოს გაყიდვების ოპერატორს შემდეგი სავალდებულო ინფორმაცია:

გამგზავნის/წარმომდგენის შესახებ:

- ვინაობა;
- პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი;
- მისამართი;
- მობილური ტელეფონის ნომერი.

ადრესატის შესახებ:

- ვინაობა;
- ტელეფონის ნომერი (მნიშვნელოვანია ზუსტი ტელეფონის ნომრის მითითება);
- მიმღები ქვეყანა;
- მიმღები ქალაქი.

- **პირადი ან პასპორტის ნომერი** - სავალდებულოა მხოლოდ სომხეთის მიმართულებით ამანათის გაგზავნისას

**გასათვალისწინებელია:** გერმანიის მიმართულებით სახმელეთო ამანათის გაგზავნის შემთხვევაში, გამგზავნის მხრიდან აუცილებელია ადრესატის ზუსტი მისამართის და საფოსტო ინდექსის წარმოდგენა.

3.3. გასაგზავნად მიღებულ სახმელეთო ამანათს ენიჭება საიდენტიფიკაციო კოდი (შტრიხ კოდი).

#### 4. გასაგზავნად მიღებული სახმელეთო ამანათის გაგზავნის, ტრანსპორტირებისა და ჩაბარების ვადები

4.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ სახმელეთო ამანათების დანიშნულების ქვეყნების მიხედვით გაგზავნას ახორციელებს კვირაში ერთელ -

- **ორშაბათ დღეს** - ყველა მიმართულებით გარდა სომხეთისა;
- **ხუთშაბათ დღეს** - სომხეთის მიმართულებით.

4.2. იმისათვის, რომ სახმელეთო ამანათი **ორშაბათ დღეს** გაიგზავნოს დანიშნულებით, ის შპს „საქართველოს ფოსტას“ უნდა გადაეცეს:

- თბილისისა და რუსთავის სერვისცენტრებში - არაუგვიანეს შაბათი დღის 14:00 საათამდე;
- სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ სერვისცენტრებში - არაუგვიანეს ხუთშაბათი დღის 14:00 საათამდე (ფოსტის ცვლის განხორციელებამდე);
- სხვა დანარჩენ სერვისცენტრებში - არაუგვიანეს პარასკევი დღისა (ფოსტის ცვლის განხორციელებამდე);

4.3. იმისათვის, რომ სახმელეთო ამანათი **სომხეთის მიმართულებით ხუთშაბათ დღეს** გაიგზავნოს, ის შპს „საქართველოს ფოსტას“ უნდა გადაეცეს არაუგვიანეს სამშაბათი დღისა ( ფოსტის ცვლის განხორციელებამდე).

**გასათვალისწინებელია!** მალფუჭებადი პროდუქტის შემცველი სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გასაგზავნად გადაცემა, რეკომენდირებულია არ განხორციელდეს პუნქტი 4.1.-ში აღნიშნული გაგზავნის დღემდე - ორ სამუშაო დღეზე უფრო მეტი ხნით ადრე. თუ გამგზავნი არ ითვალისწინებს შპს „საქართველოს ფოსტის“ რეკომენდაციას, ასეთი გზავნილის გასაგზავნად მიღება შესაძლებელია მხოლოდ გაგზავნის საფასურის გამგზავნის მიერ გადახდის პირობით.

4.4. დანიშნულების ქვეყანაში შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისების მისამართებზე სახმელეთო ამანათის მიწოდება ხორციელდება №1 დანართში მოცემულ ვადებში.

- 4.5. ინფორმაციას გზავნილის დანიშნულების ქვეყანაში ჩასვლის შესახებ, გამგზავნი მიიღებს SMS შეტყობინების სახით.
- 4.6. სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისებამდე ტრანსპორტირების შემდგომ, ადრესატი უფლებამოსილია შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ სახმელეთო ამანათის მიღებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში განახორციელოს ვიზიტი აგენტის ოფისში და ჩაიბაროს სახმელეთო ამანათი, თუ სახმელეთო ამანათი ისეთ ქალაქში იგზავნება, სადაც აგენტის ოფისის ნაცვლად მხოლოდ გაცემის პუნქტია (ინფორმაცია ქვეყნების მიხედვით მოცემულია №1 დანართში), ადრესატს გზავნილის ჩაბარების საშუალება ექნება მხოლოდ ასეთი გაცემის პუნქტების სამუშაო დღეებსა და საათებში.

## 5. გასაგზავნად აკრძალული და პირობითად დაშვებული საქონლის ჩამონათვალი

5.1. სახმელეთო ამანათით დაუშვებელია იმ საგნების, ნივთიერებების, ცხოველების, პროდუქტების ან მასალების გაგზავნა, რაც სტანდარტულად აკრძალულია საფოსტო გზავნილებით გაგზავნისას (<https://www.gpost.ge/Content/ContentFiles/e95a4c9b40bc81a1d822ba4d41025f27.pdf>).

გარდა ამისა, ასევე დაუშვებელია შემდეგი საგნების გაგზავნა:

- 5.1.1. თამბაქო და თუთუნი;
- 5.1.2. ხორცი და ხორცის ნაწარმი;
- 5.1.3. არაქარხნული წარმოების ნებისმიერი სითხე, რომელშიც დუღილი არ არის დასრულებული ან ის გაზირებულია (მათ შორის: მადულარი ტკბილი; მაჭარი; ცქრიალა ღვინო; ბადაგი და სხვა);
- 5.1.6. ძვირფასი ლითონი და/ან ქვები, ასევე მათი ნაკეთობები;

5.2. ქვემოთ ჩამოთვლილი პროდუქტების/ნივთების გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ შემდეგი ოდენობით და პირობებით (თუ დამატებითი აკრძალვა არ მოქმედებს კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებაში):

- 5.2.1. თაფლი არაუმეტეს ½კგ-სა;
- 5.2.2. ნებისმიერი სახის ყველი - არაუმეტეს 2 კგ-სა (მოთავსებული ჰერმეტიკულად, დახურულ პლასტმასის კონტეინერში, სითხის გარეშე);
- 5.2.3. ალკოჰოლური სასმელებიდან:
  - ა) ღვინო და ლუდი, ჯამში - არაუმეტეს 5 (ხუთი) ლიტრისა. ამასთან:
    - არაქარხნული წარმოების ასეთი სასმელი მოთავსებული უნდა იყოს პლასტმასის ბოთლ (ებ)ში ისე, რომ ერთეული პლასტმასის ბოთლის მოცულობა არ უნდა აღარაბედეს 3 (სამი) ლიტრს, ხოლო, ღვინის საერთო მოცულობამ ერთ გზავნილში არ უნდა გადააჭარბოს 5 (ხუთი) ლიტრს;

➤ ქარხნულად ჩამოსხმული სასმელის (ღვინო და ლუდი) რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 2 (ორი) ბოთლს ისე, რომ საერთო მოცულობამ არ გადააჭარბოს 5 (ხუთი) ლიტრს.

ბ) სხვა ნებისმიერი სახის ალკოჰოლური სასმელი - არაუმეტეს 1 (ერთი) ლიტრისა. ამასთან, არაქარხნული წარმოების ასეთი სასმელი მოთავსებული უნდა იყოს პლასტმასის ბოთლში.

5.2.4. სხვა თხევადი და ბლანტი სახის კვების პროდუქტები - მოთავსებული პლასტმასის ბოთლებში;

### 5.3. სახმელეთო ამანათით მედიკამენტების გაგზავნა (თუ დამატებითი აკრძალვა არ მოქმედებს კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებაში)

5.3.1. აკრძალულია ნარკოტიკული ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების შემცველი მედიკამენტების გაგზავნა.

5.3.2. მედიკამენტების გაგზავნა შესაძლებელია მხოლოდ დამოუკიდებელი სახმელეთო ამანათის სახით. მასთან ერთად სხვა რაიმე საქონლის/პროდუქტის გაგზავნა დაუშვებელია.

5.3.3. მედიკამენტების გაგზავნა დასაშვებია მხოლოდ ქარხნული შეფუთვით და არაუმეტეს 300 გრამისა. ამასთან:

ა) ერთი სახეობის აბები - არ უნდა აღემატებოდეს 10 (ათი) ფირფიტას;

ბ) სხვა ტიპის (მათ შორის, სითხის შემცველი) მედიკამენტები - არ უნდა აღემატებოდეს 300 გრამს.

### 5.4. სახმელეთო ამანათით დოკუმენტების გაგზავნა (თუ დამატებითი აკრძალვა არ მოქმედებს კონკრეტულ ქვეყანასთან მიმართებაში)

5.4.1. დაუშვებელია პირადობის დამადასტურებელი ნებისმიერი დედანი დოკუმენტის (პასპორტი; პირადობის მოწმობა; ბინადრობის მოწმობა; მართვის მოწმობა და სხვა) გაგზავნა. ნებისმიერი სხვა სახის დოკუმენტი შესაძლებელია გაიგზავნოს მხოლოდ სხვა სახის საქონელთან/პროდუქტთან ერთად.

## 6. გზავნილის შეფუთვის წესი

- 6.1. გზავნილის სათანადოდ შეფუთვაზე პასუხისმგებელია გამგზავნი. მან უნდა უზრუნველყოს გზავნილის იმგვარი შეფუთვა, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის, აგრეთვე მასთან ერთად გადასაზიდი სხვა გზავნილების დაზიანება (მათ შორის დასველება; გაფუჭება) ტრანსპორტირების დროს.
- 6.2. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ დაიფაროს მასზე დატანილი ინფორმაცია. შეფუთვის ზედაპირი უნდა იძლეოდეს მასზე მისამართის ან ტრანსპორტირებისთვის საჭირო სხვა იარაღების/შტამპების დაკვერის/დატანის საშუალებას.
- 6.3. გზავნილის შესაფუთად რეკომენდირებულია გამოყენებულ იქნას :
  - ამანათებისთვის - ხის, ფანერის, პოლიმერული, პენოპლასტის - მყარი ყუთები;
- 6.4. გამგზავნის მიერ გზავნილის შეფუთვა უნდა განხორციელდეს მისი წონის, ფორმის და შიგთავსის მასალისა და ხასიათის (თხევადი; მსხვრევადი; მყარი და ა.შ.) მიხედვით, ასევე გზავნილის ტრანსპორტირების ხანგრძლივობის გათვალისწინებით.
- 6.5. გზავნილი უნდა იყოს შეფუთული იმაზე გათვლით, რომ:
  - გაუძლოს დიდ მანძელზე ტრანსპორტირებას;
  - მრავალჯერად გადატვირთვას ან დამუშავებას, დახარისხებას;
  - კლიმატის, ტემპერატურის და წნევის ცვალებადობას.
  - ფიზიკურ ზემოქმედებას, ზეწოლას, ვიბრაციას, რყევას.
- 6.6. გზავნილის სათანადოდ შეფუთულად ითვლება მაშინ, თუ იგი 80 კგ-ის ზეწოლისა და/ან 80 სმ სიმაღლიდან მყარ ზედაპირზე თავისუფალი ვარდნის შემდეგ დაუზიანებელი რჩება.
- 6.7. მეორადი შესაფუთი მასალის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე სათანადოდ წაშლილია ყველა ძველი შტრიხკოდი, მისამართი თუ სხვა ტიპის ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა შეცდომაში შეიყვანოს „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომელი, გზავნილის დახარისხების და/ან მისი ადრესატისთვის ჩაბარებისას.
- 6.8. გამგზავნის მიერ შესაფუთი მასალის შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს გზავნილის შიგთავსის სახეობა/თვისებები, მისი წონა და ფორმა. შესაფუთმა მასალამ და შიგთავსის სწორად შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს მისი დაცვა და მთლიანობის შენარჩუნება ტრანსპორტირებისას (მაგ. ყუთში სიცარიელის დატოვების შემთხვევაში, ის შესაძლოა დაიპრესოს/დაიჩუტოს, ხოლო ზედმეტად სავსე ყუთი - პირიქით, შინაგანი ზემოქმედების შედეგად გასკდეს).
- 6.9. თუ გზავნილში რამოდენიმე ნივთია მოთავსებული, აღნიშნული ნივთები უნდა შეიფუთოს ცალ ცალკე და ამის შემდეგ მოხდეს მათი მყარად განთავსება გასაგზავნ შეფუთვაში.
- 6.10. მნიშვნელოვანია, რომ გზავნილის რყევის შემთხვევაში, მასში მოთავსებული ნივთები არ მოძრაობდეს. შიგთავსის მოძრაობის შესაზღუდად, გზავნილის შიგნით რეკომენდებულია გამოყენებულ იქნას შემდეგი შემავსებელი მასალები :
  - მუყაო;
  - გაზეთი;
  - ჰაერ-ბუმტოვანი ცელოფანი;

- პოროლონის დრუბელი;
- პენოპლასტი;
- კრაფტის ქაღალდი;

6.11. გზავნილი ყველა მხრიდან მყარად უნდა იყოს დახურული, რათა გამოირიცხოს ტრანსპორტირებისა და დამუშავების პროცესში გზავნილიდან ნივთის გადმოვარდნა. ამ მიზნით, გამგზავნმა უნდა დაიცვას შემდეგი წესები:

6.11.1. ყუთის გამოყენებისას, გზავნილის დალუქვა უნდა მოხდეს, მინ. 5სმ-იანი თვითწებადი ლენტის, მთელი გზავნილის ირგვლივ, არანაკლებ სამჯერადი შემოტარებით.

6.12. შიგთავსის სახეობის მიხედვით გზავნილის შეფუთვისას, დაცული უნდა იყოს შეფუთვის შემდეგი წესები:

6.12.1. **სითხე ან ისეთი ნივთიერება, რომელიც ადვილად იქცევა სითხედ**, უნდა მოთავსდეს ჰერმეტიკულად დახურულ კონტეინერში/პლასტმასის ბოთლში, რომელიც უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში, ყუთი ამოვსებული უნდა იყოს შესაბამისი დამცავი მასალით რომელიც კონტეინერის/პლასტმასის ბოთლის დაზიანების შემთხვევაში მთლიანად შეიწოვს სითხეს.

6.12.2. **ცხიმის შემცველი ნივთიერებები, რომლებიც ადვილად არ გადაიქცევა სითხედ**, როგორცაა საცხები, ნახევრად თხევადი საპონი, ფისი და სხვა, პირველადი შესაფუთი მასალით (ყუთი, ნაჭრის ტომარა, პლასტმასის კონტეინერი და სხვ.) უნდა მოთავსდეს მყარ ყუთში იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული შიგთავსის გაჟონვა.

6.12.3. **მშრალი საღებავი ფხვნილები, როგორცაა მეთილენის ლურჯი და სხვა**, დაიშვება მხოლოდ ჰერმეტიკულად დახურულ ლითონის ყუთებში, რომლებიც თავის მხრივ განთავსებული უნდა იქნას შესაბამისი შემწოვი და დამცავი მასალით ამოვსებულ მყარ ყუთებში.

6.12.4. **მშრალი არასაღებავი ფხვნილები** უნდა განთავსდეს მყარ კონტეინერებში (ყუთი, ტომარა), რომლებიც თავის მხრივ განთავსდება მყარ ყუთებში.

6.12.5. **მინისგან დამზადებული ან სხვა მსხვრევადი/მტვრევადი ნივთები** უნდა შეიფუთოს ჰაერ-ბუმტოვანი ცელოფანით, ქსოვილით ან სხვა მსგავსი შესაფუთი მასალით და მოთავსდეს მყარ ყუთში, რომელიც ამოვსებული იქნება შესაბამისი დამცავი მასალით, რათა ტრანსპორტირების პროცესში თავიდან იქნას აცილებული ნივთსა და ყუთის კედლებს შორის ხახუნი, ხოლო თუ გზავნილში რამდენიმე ნივთია - ასევე ამ ნივთებს შორის ხახუნი.

6.12.6. **წვეტიანი ან ბასრი ნივთები** უნდა განთავსდეს მყარ ყუთში, ხოლო თავად ყუთში - წვეტიანი და ბასრი ნაწილები უნდა შეიფუთოს ისეთი მასალით (ჰაერ-ბუმტოვანი ცელოფანი, თვითწებადი ლენტი და ა.შ.), რომელიც უზრუნველყოფს როგორც თავად ამ ნივთის უსაფრთხოებას ტრანსპორტირების დროს, ასევე ყუთის შესაძლო დაზიანების შემთხვევაში - დაიცავს სხვა გზავნილებს დაზიანებისგან.

## 7. გზავნილის შიგთავსის შემოწმება



- 7.1. ქვეყნის დატოვებამდე, სახმელეთო ამანათი გაივლის შიგთავსის სკანერით დათვალიერების პროცესს. შემოწმების შედეგად, საექვოდ მიჩნეული ამანათები გადადის დათვალიერების ოთახში, სადაც ხდება მათი გახსნა, შიგთავსის დეტალური შესწავლის მიზნით. აღნიშნული პროცესი ხორციელდება ვიდეო კამერების მეთვალყურეობის ქვეშ.
- 7.2. ამანათის შიგთავსის შემოწმების მიზნით, გზავნილის გახსნის შემდგომ, მასზე აუცილებელი წესით ეკვრება შესაბამისი წებოვანი სტიკერი, რომელზედაც დატანილია ტექსტი - **„გახსნილია შიგთავსის შემოწმების მიზნით“**.
- 7.3. გზავნილის გამგზავს, უფლება აქვს რეკლამაციის განაცხადით მოითხოვოს შიგთავსის დათვალიერების ამსახველი ვიდეო ჩანაწერის ნახვა, გზავნილის გაგზავნიდან არაუმეტეს **ერთი თვის განმავლობაში**.
- 7.4. ამანათში აკრძალული ნივთის აღმოჩენის შემთხვევაში, „საქართველოს ფოსტა“ მოქმედებს ამავე დოკუმენტის მე-8 მუხლის შესაბამისად. ამასთან, თუ გზავნილის გახსნის და შიგთავსის დათვალიერებისას, მასში აღმოჩნდება რაიმე სახის სამკაული/ნაკეთობა, რომელზედაც არ იქნება წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტი ან მასზე არ იქნება დატანილი აღნიშვნა, რომ ნაკეთობა არ შეიცავს ოქროს, ვერცხლს ან სხვა ძვირფას მეტალს ან ძვირფას ქვებს, „საქართველოს ფოსტა“ იტოვებს უფლებას, ასეთი ნივთის შემადგენელი მასალის დადგენის მიზნით, მოახდინოს მისი შპს „საქართველოს ფოსტის“ ლიცენზირებული ექსპერტისთვის გადაცემა. აღნიშნული მომსახურება უფასოა, ხოლო ექსპერტიზის ვადა განისაზღვრება 7 სამუშაო დღის ვადით. თუ ექსპერტი დაადგენს, რომ ნივთი დამზადებულია ძვირფასი მეტალისგან და/ან ძვირფასი ქვისგან, ამანათი უბრუნდება გამგზავნს მე-8 მუხლის შესაბამისი პირობებით, ხოლო სხვა შემთხვევაში, ამანათი იგზავნება დანიშნულების ქვეყანაში, გასაგზავნი ამანათების შემდეგ პარტიასთან ერთად.

## 8. დამატებითი სერვისები

- 8.1. მომხმარებელს, რომელიც აგზავნის ქვეყნის გარეთ სახმელეთო ამანათს, საშუალება აქვს ასევე ისარგებლოს დამატებითი სერვისით - **„ქვეყნის ტერიტორიის დატოვებამდე გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა“**.
- 8.2. სერვისით სარგებლობა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ გამგზავნის მიერ უარის თქმის განაცხადი დაფიქსირდება გზავნილის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემიდან არაუგვიანეს:
  - 8.2.1. **შაბათი დღის 14:00 საათამდე**, თუ გზავნილი გადაცემულია „საქართველოს ფოსტის“ თბილისში ან რუსთავეში განლაგებული სერვისცენტრისთვის და ის არ იგზავნება სომხეთის მიმართულელებით;

- 8.2.2. **ხუთშაბათი დღის 14:00 საათამდე**, თუ გზავნილი გადაცემულია „საქართველოს ფოსტის“ სპეციალურ ადმინისტრაციულ ერთეულებში განლაგებული სერვისცენტრებისთვის და ის არ იგზავნება სომხეთის მიმართულებით;
- 8.2.3. **პარასკევი დღის 17:00 საათამდე**, თუ გზავნილი გადაცემულია „საქართველოს ფოსტის“ პუნქტი 7.2.1. და 7.2.2. - ში აღნიშნული სერვისცენტრების გარდა ნებისმიერ სხვა სერვისცენტრში და ის არ იგზავნება სომხეთის მიმართულებით;
- 8.2.4. **სამშაბათი დღის 17:00 საათამდე**, თუ გზავნილი გადაცემულია „საქართველოს ფოსტის“ ნებისმიერი სერვისცენტრისთვის, და ის იგზავნება სომხეთის მიმართულებით;
- 8.3. სერვისით სარგებლობა უფასოა, თუ გამგზავნი გზავნილის უკან დაბრუნებას მოითხოვს გზავნილის გაგზავნის დღესვე იმ სერვისცენტრისთვის მიმართვის გზით, სადაც მის მიერ მოხდა სახმელეთო ამანათის გასაგზავნად ჩაბარება. სერვისის უფასოდ მისაღებად, აუცილებელია გამგზავნმა წარმოადგინოს სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. ასეთ შემთხვევაში, გამგზავნს იმავე სერვისცენტრში უკან უბრუნდება გზავნილიც და მის მიერ გადახდილი სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულებაც.
- 8.4. გარდა 7.3.-ით განსაზღვრული შემთხვევისა, სერვისით სარგებლობა ფასიანია და ის შეადგენს გაგზავნის ღირებულების 50%-ს.
- 8.5. თუ სერვისით სარგებლობა ისეთ ამანათზე ხორციელდება, რომელიც ფასდადებით იგზავნებოდა, სერვისის ღირებულების (გაგზავნის ღირებულების 50%) გადახდა გამგზავნმა სახმელეთო ამანათის უკან დაბრუნებამდე უნდა განახორციელოს. სერვისის ღირებულების გადახდამდე, სახმელეთო ამანათის გამგზავნისთვის უკან დაბრუნება არ ხორციელდება.
- 8.6. გზავნილის გაგზავნაზე უარის თქმა და/ან გადახდილი გაგზავნის ღირებულების უკან დაბრუნების (სერვისის ღირებულების თანხის გამოკლებით) მოთხოვნა გამგზავნს შეუძლია როგორც უშუალოდ „საქართველოს ფოსტის“ სერვისცენტრში, ასევე დისტანციურად, ხელმოწერილი განაცხადის, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და სერვისის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი ქვითრის (პუნქტი 7.5.-ის შემთხვევაში) ელექტრონულ ფოსტაზე [services@gpost.ge](mailto:services@gpost.ge) გამოგზავნის გზით.
- 8.7. სერვისით სარგებლობის შემთხვევაში, გამგზავნს სახმელეთო ამანათი უკან უბრუნდება იმავე სერვისცენტრში, რომელშიც მან მოახდინა მისი გასაგზავნად ჩაბარება, ხოლო თუ გამგზავნის მიერ ასევე მოთხოვნილია გადახდილი სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულების უკან დაბრუნება, მისი ჩარიცხვა ხორციელდება გამგზავნის საბანკო ანგარიშზე, სერვისის ღირებულების თანხის (გაგზავნის ღირებულების 50%) გამოკლებით.

## 9. პასუხისმგებლობა და ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობა

- 9.1. შპს „საქართველოს ფოსტა“ მატერიალურ პასუხისმგებლობას იღებს იმ ზიანზე, რომელიც წარმოიშობა მისი ბრალით სახმელეთო ამანათის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში.

ამასთან, სახმელეთო ამანათი დაზიანებულად მიიჩნევა მხოლოდ მისი გარე შეფუთვის მთლიანობის დარღვევის შემთხვევაში.

- 9.2. გზავნილი ითვლება დაკარგულად, თუ აღნიშნული ფაქტი დადასტურებულია შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის მიერ ან თუ სახმელეთო ამანათის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ვერ მოხერხდა მისი გაგზავნიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 9.3. შპს „საქართველოს ფოსტა“ არ აგებს პასუხს არც ერთი ქვეყნის (საქართველოს, ტრანზიტული და დანიშნულების ქვეყნების) საბაჟო ორგანოს მიერ საბაჟო კონტროლს დაქვემდებარებული გზავნილების მიმართ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე.
- 9.4. შპს „საქართველოს ფოსტის“ პასუხისმგებლობა ასევე გამოირიცხება:
  - 9.4.1. დაუძლეველი ძალით გამოწვეული გარემოებების დადგომის შემთხვევაში;
  - 9.4.2. შემთხვევებში, როცა შპს „საქართველოს ფოსტას“ არ შეუძლია განახორციელოს გზავნილების აღრიცხვა, სამსახურეობრივი დოკუმენტების დაუძლეველი ძალის შედეგად განადგურების გამო;
  - 9.4.3. თუ გზავნილის დაკარგვა, მისი შიგთავსის არარსებობა ან დაზიანება გამოწვეულია გამგზავნის ბრალით ან დაუდევრობით (მათ შორის, არასათანადო შეფუთვით) ან შიგთავსის თვისებებით;
  - 9.4.4. იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომელიც შეიცავს გასაგზავნად აკრძალულ საგნებს;
  - 9.4.5. იმ სახმელეთო ამანათების მიმართ, რომლის გაგზავნაც დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებული პირობით ასეთი პირობის დაუცველობის შემთხვევაში;
  - 9.4.6. მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო ორგანოების მიერ სახმელეთო ამანათის დაკავების, განადგურების ან მისი კონფისკაციის შემთხვევაში;
  - 9.4.7. თუ ანაზღაურების მიღების მიზნით გამგზავნი არაკეთილსინდისიერად მოქმედებს;
  - 9.4.8. თუ მომხმარებელმა რეკლამაციით არ მიმართა შპს „საქართველოს ფოსტას“ სახმელეთო ამანათის გაგზავნის დღის მომდევნო დღიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში;
- 9.5. გზავნილის დაკარგვის, ან შიგთავსის ნაწილობრივი დაკარგვის, ან მისი დაზიანების შემთხვევაში, შპს „საქართველოს ფოსტა“ გამგზავნს უნაზღაურებს ზიანს შემდეგი ოდენობით:
  - 9.5.1. სახმელეთო ამანათის დაკარგვით, მისი შიგთავსის მთლიანი დაზიანების ან ქურდობის შემთხვევაში - 20 ლარს + 5 ლარი ყოველ კილოგრამზე, მაგრამ საერთო ჯამში არა უმეტეს 170 ლარისა;
  - 9.5.2. სახმელეთო ამანათის შიგთავსის ნაწილობრივ დაზიანების ან/და ქურდობის შემთხვევაში - დაზიანებული ან გაქურდული ფასეულობის ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს პუნქტ 8.5.1.-ში აღნიშნული მაქსიმალური ზღვარისა.

- 9.6. გამგზავნი მატერიალურად პასუხისმგებელია იმ ზარალზე, რომელიც მიადგება შპს „საქართველოს ფოსტას“ აკრძალული ნივთის გაგზავნის ან სახმელეთო ამანათის არასათანადოდ შეფუთვის გამო.
- 9.7. ქვეყნის დატოვებამდე ამანათში აკრძალული ნივთის ან მისი არასათანადო შეფუთვის აღმოჩენის შემთხვევაში, ამანათი არ იგზავნება, ხოლო გამგზავნი იხდის პირგასამტეხლოს - სახმელეთო ამანათის გაგზავნის ღირებულების 100%-ის ოდენობით. პირგასამტეხლოს გადახდამდე, გამგზავნს გზავნილი უკან არ უბრუნდება.
- 9.8. რეკლამაციის განხილვა და ზიანის ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ ხორციელდება „მომხმარებლის სახელმძღვანელოს“ IX კარის 65-ე მუხლის ნორმებისა და „რეკლამაციის წარდგენისა და განხილვის“ წესის შესაბამისად.

## 10. დასკვნითი დებულებები

- 10.1. თუ ამ დოკუმენტის რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი დოკუმენტის ბათილობას. ამ შემთხვევაში დოკუმენტის დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.
- 10.2. ყველა ის საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე დოკუმენტით, რეგულირდება შპს „საქართველოს ფოსტის“ მიერ დამტკიცებული „მომხმარებლის სახელმძღვანელოთი“.
- 10.3. ამ დოკუმენტში შეტანილი ყველა ცვლილება და დამატება ძალაში შედის მისი შპს „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორის ხელმოწერის დღიდან, თუ ცვლილებისა და დამატებების დოკუმენტი თავად არ შეიცავს მითითებას მისი ძალაში უფრო გვიანი თარიღით შესვლის შესახებ.
- 10.4. ამ დოკუმენტის პუნქტებს სათაურები წამდვარებული აქვთ დოკუმენტის ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად და ისინი მხედველობაში არ მიიღებიან როგორც ამ დოკუმენტის რაიმე დებულების განმსაზღვრელნი, შემცვლელნი ან განმარტავნი.

## დანართი #1

### 1. საბერძნეთი

- საბერძნეთის მიმართულებით სახმელეთო ამანათი იგზავნება მოკითხვამდე პირობით, სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისებში.
- საბერძნეთის ტერიტორიაზე სახმელეთო ამანათის ჩაბარების ვადების ათვლა იწყება სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ორშაბათიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ათენი	4-6 კალენდარული დღე
თესალონიკი, კალამატა, ნაფლიო	7-8 კალენდარული დღე

- საბერძნეთში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების და გზავნილების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

N.	ქალაქი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1.	ათენი	<b>Omonia - Geraniou № 44,</b> (ძირითადი ოფისი)	Tel: 210 52 41 849 / 699 35 01 515	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
2	ათენი	<b>Kipseli 11361, Sikinou №6</b>	Tel: 210 86 47 705/ 6948325465	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
3	ათენი	<b>Pagkrati - Damareos №43</b>	Tel: 215 52 55 145	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
4	ათენი	<b>Athens 10431, Ipponaktos #38,</b> <b>Neos Kosmo</b>	Tel: +30 210 931 3917/ +30 690 785 5500	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
5	ათენი	<b>Ampelokipi - Arkadias №13</b>	Tel: 699 33 44 448 / 6941603030 / 211 41 50 946	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
6	ათენი	<b>11251, Pipinou №70</b>	Tel: 210 82 10 172 / 699 52 10 174	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
7	ათენი	<b>15124, Neratziotisis №11</b>	Tel: 699 69 98 585 / 694 39 19 991 / 2155014368	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
8	ათენი	<b>10446, Aristomenous №93</b>	+30 210 865 6683	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
9	ათენი	<b>10446 Platia, Agios Nikolaos 17</b>	Tel: +30 211 417 1712 /+30 699 600 3424 /+30 699 327 7280	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
10	თესალონიკი	<b>57200, Vardari Lagadas №7,</b>	Tel: : 6906 848 788 / +30 231 052 6134	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე
11	კალამატა	<b>Kalamata 24100, Souliou №30</b>	Tel: +30 272 109 7452 / +30 697 894 5965 / +30 697 244 6596	<b>ყოველ დღე:</b> 09:00სთ-დან- 19:00სთ-მდე

12	ნაფლიო	<p><b>NAFLIO, T.K. 21100, 25 IS</b>  <b>MARTIOU 10</b></p>	<p>Tel: +30 2752024143</p>	<p><b>ორშაბათი:</b> 09:00სთ-დან -18:00სთ-მდე  <b>სამშაბათი:</b> 09:00სთ-დან -18:00სთ-მდე  <b>ოთხშაბათი:</b> 09:00სთ-დან-18:00სთ-მდე  <b>ხუთშაბათი:</b>09:00სთ-დან-18:00სთ-მდე  <b>პარასკევი:</b> 09:00 სთ-დან -18:00სთ-მდე  <b>შაბათი:</b> 09:00 სთ-დან -18:00სთ-მდე  <b>კვირა:</b> დასვენება</p>
----	--------	----------------------------------------------------------------	----------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

## 2. ესპანეთი

- ესპანეთის მიმართულებით სახმელეთო ამანათი იგზავნება მოკითხვამდე პირობით, სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისებში.
- ესპანეთის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების ვადების ათვლა იწყება სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ორშაბათიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ბარსელონა	10 კალენდარული დღე
მადრიდი, ვალენსია, კორდობა, არნედო, აუტოლი, ალიკანტე, ბიკი	14 კალენდარული დღე

- ესპანეთში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების და გზავნილების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

N.	ქალაქი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1.	ბარსელონა	C/Espronceda 369_08027bcn, Sagrera_Navas	Tel: 34 632 484 787	სამშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ოთხშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ხუთშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე პარასკევი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე შაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე კვირა - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ორშაბათი - დასვენების დღე
2	მადრიდი	Calle Francisco del Pino №26, 28021 Madrid	Tel: 34 631 161 214 Tel: 34 632 484 787	სამშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ოთხშაბათი - 10:00სთ-დან -21:00 სთ-მდე ხუთშაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე პარასკევი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე შაბათი - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე კვირა - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე ორშაბათი - დასვენების დღე
3	ვალენსია	Valencia-Xirivella, plaza del mercado n10 bajo 1. Zip code-46950	Tel: +34 602 881 887 Tel: +34 632 48 47 87	ყოველ დღე - 10:00 სთ-დან -21:00 სთ-მდე
4	კორდობა	Calle El Avellano 1; Santa Rosa ; 14006; Cordoba;	Tel: +34 632 258 778 Tel: +34632484787	სამშაბათი-16:00სთ- დან- 21:00სთ- მდე ოთხშაბათი-16:00სთ- დან- 21:00სთ- მდე ხუთშაბათი -16:00სთ- დან- 21:00სთ- მდე პარასკევი- 16:00სთ- დან- 21:00სთ- მდე შაბათი-10:00სთ- დან- 18:00სთ- მდე კვირა-10:00სთ- დან - 18:00სთ- მდე ორშაბათი - დასვენება

<b>5</b>	არნედო	Calle General Ruiz, 41, zip-code 26580	<b>Tel:</b> +34 632 54 16 42 <b>Tel:</b> +34 632 48 47 87	<b>შაბათი</b> -10:00სთ-დან - 18:00სთ-მდე
<b>6</b>	აუტოლო	Calle Travesía de Ezquerro, 49, zip-code 26560	<b>Tel:</b> +34 632 54 16 42 <b>Tel:</b> +34 632 48 47 87	<b>შაბათი</b> - 17:00სთ- დან-18:00სთ- მდე
<b>7</b>	ალიკანტე	Calle del Maestro Alonso, 184, zip code-03014	<b>Tel:</b> +34 632 54 16 42 <b>Tel:</b> +34 632 48 47 87	<b>კვირა</b> -10.30სთ-დან -11:40სთ- მდე
<b>8</b>	ბივი	Detrás de la estación de tren. Pàrquing públic.zip code -08500	<b>Tel:</b> +34 632 54 16 42 <b>Tel:</b> +34 632 48 47 87	<b>შაბათი</b> -10:00სთ- დან 11:00სთ- მდე



### 3. იტალია

- იტალიის მიმართულებით სახმელეთო ამანათი იგზავნება მოკითხვამდე პირობით, სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისებსა და გზავნილების გაცემის პუნქტებში.
- იტალიის ტერიტორიაზე გაგზავნილი სახმელეთო ამანათის ჩაბარების ვადების ათვლა იწყება სახმელეთო ამანათის შპს „საქართველოს ფოსტისთვის“ გადაცემის შემდეგ დამდგარი პირველი ორშაბათიდან:

ქალაქი	ჩაბარების ვადა
ბარი, რეჯიო კალაბრია, რეჯიო ემილია, ნეაპოლი, რომი, მილანი, პრატო, აველინო	8 კალენდარული დღე
მონტოვა, ფლორენცია, სალერნო, უდინე	10 კალენდარული დღე
ბოლონია, მოდენა, ემპოლი, პიზა, ლივორნო, ვენეცია, ტრიესტე, ტრენტო	14 კალენდარული დღე

- იტალიაში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების და გზავნილების გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

აგენტის ოფისები				
N.	ქალაქი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1.	ბარი	Piazza Aldo Moro 35 Bari 70121 BA Italy	+39 080 967 5002 +39 380 154 8887	ყოველ დღე - 08:30 სთ-დან - 20:00 სთ-მდე
		Via Michele Garruba, 2270122 Bari BA, Italy.	+ 380 656 81 90 + 324 609 18 62 + 389 584 03 09	ყოველ დღე - 07:30 სთ-დან - 20:30 სთ-მდე
2.	რეჯო კალაბრია	Via Gaspare Del Fosso 29 Reggio Calabria 89127 RC Italy	+39 327 361 5985	ყოველ დღე - 09:00 სთ-დან - 20:00 სთ-მდე
3.	რეჯო ემილია	Via Roma, 64/A Reggio Emilia 42121 RE Italy	+39 388 179 0686	ორშაბათი - დასვენება სამშაბათი - 11:00 სთ-დან - 17:00 სთ-მდე ოთხშაბათი - 11:00 სთ-დან-17:00 სთ-მდე ხუთშაბათი - დასვენება პარასკევი - 11:00 სთ-დან -17:00 სთ-მდე შაბათი - 10:00 სთ-დან - 17:00 სთ-მდე კვირა -09:00 სთ-დან - 19:00 სთ-მდე
4	სალერნო	Salerno 84125, Via Michelangelo Schipa 25	+39 320 864 0527	ყოველ დღე -08:00 სთ-დან - 20:00სთ-მდე

5	მილანი	Via Menabrea 14, Milano 20159, Italy	+39 388 467 7527 +39 320 287 79 06	ორშაბათი - დასვენების დღე სამშაბათი - 13:00 სთ-დან - 17:00 სთ-მდე ოთხშაბათი -13:00 სთ-დან - 17:00 სთ-მდე ხუთშაბათი-13:00სთ-დან - 17:00სთ-მდე პარასკევი - 13:00 სთ-დან - 17:00 სთ-მდე შაბათი - დასვენების დღე კვირა - 07:30 სთ-დან - 13:00 სთ-მდე
6	აველინო	Via Giosue Carducci 60 Avellino	+393280132783	ორშაბათი - დასვენების დღე სამშაბათი - 08:00 სთ-დან - 20:00 სთ-მდე ოთხშაბათი -08:00 სთ-დან - 20:00 სთ-მდე ხუთშაბათი-08:00 სთ-დან - 20:00 სთ-მდე პარასკევი - 08:00 სთ-დან - 20:00 სთ-მდე შაბათი - 08:00 სთ-დან - 20:00 სთ-მდე კვირა - 08:00 სთ-დან - 20:00 სთ-მდე

გზავნილების გაცემის პუნქტები

N.	ქალაქი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	გზავნილების გაცემის დრო
1.	ბოლონია	Stazione Autoline, Settembre 6, Bologne 40121 BO Italy	+39 388 179 0686	კვირა - 14:00 სთ-დან - 15:00 სთ-მდე
2.	მონტოვა	Piazza Sordelo, Mantova 46100 MN Italy	+39 388 179 0686	ხუთშაბათი - 11:00 სთ-დან - 15:00 სთ-მდე
3	მოდენა	Via Bono Da Nonantola 1 Modena 41121MO	+39 388 179 0686	კვირა - 16:00 სთ-დან -17:00 სთ-მდე
